საქართველოს მთავრობის

დადგენილება №266

2024 წლის 21 აგვისტო

ქ. თბილისი

„ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასა და იმპორტთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ადამიანის მიერ მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასა და იმპორტთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №587 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/12/2018, 240110000.10.003.020905) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4.** დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მოქმედება შეჩერებულ იქნეს 2025 წლის პირველ სექტემბრამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**